

საპენსიო რეფორმის განხორციელების მნიშვნელობა საქართველოში სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

საკენსიო რეფორმის განხორციელების
მნიშვნელობა საქართველოში სოციალური
მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე

ავტორები: ლაშა ბლიაძე, მარიამ ოზაშვილი, თათა ქითავა



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორები: ლაშა ბლიაძე, მარიამ ოზაშვილი, თათა ქითავა

რედაქტორი: თამარ ნეფარიძე

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს თანმშრომლობას სოციალური პოლიტიკის სფეროში, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერებას, თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ფინანსური მდგრადობის კუთხით.

სოციალური პოლიტიკის განხორციელების პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი საპენსიო უზრუნველყოფაა. სწორედ საპენსიო უზრუნველყოფაზე იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი სახსრები და ეს ხარჯი ბიუჯეტის 16,2%-ს შეადგენს. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული სახსრების მნიშვნელოვანი წილი სწორედ საპენსიო უზრუნველყოფაზე მოდის, ხაზს უსვამს მის მნიშვნელობასა და ხარჯვის რაციონალურობის დახვეწის აუცილებლობას.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მატება, ემიგრაციის შედეგად სამუშაო ძალის რაოდენობის შემცირება და მოსახლეობაში პენსიონერთა წილის ზრდა, მომავალში მძიმე ტვირთად დაანგება ბიუჯეტსა და მომავალ თაობებს, რომლებიც იმ მომენტისთვის სამუშაო ძალაში იქნებიან. მოსახლეობაში პენსიონერთა ზრდა არ უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ საფრთხის შემცველ მოვლენას იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მუშაობენ. სახელმწიფოს ვალდებულებაა, უზრუნველყოს თანაბარი უფლებების პირობებში სოციალური გარემოს ფორმირება, როგორც სამუშაო ძალაში არსებული პოპულაციისთვის, ისე პენსიონერთათვის. სწორედ ამ პროცესის ჯანსაღად წარმართვაშია მნიშვნელოვანი სახელმწიფოს ხედვა, ამ ბუნებრივი პროცესისადმი იყოს რაციონალური და ისე გათვლილი, რომ მოხდეს სამართლიანი სოციალური გარემოს შექმნა პენსიონერებისთვის და, თავისთავად, იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ადრე თუ გვიან შეუერთდებიან პენსიონერთა რიგებს.

იმისათვის, რომ პენსია იყოს ღირსეული და, ამასთან, არ დაანგვს მძიმე ტვირთად მომავალ თაობებს, საჭიროა საპენსიო სისტემის რეფორმირება. მსოფლიოში არსებობს საპენსიო სისტემების ოპერირების წარმატებული პრაქტიკა, რომლის გამოყენებაც შეიძლება საქართველოსთვის ყველაზე მიზანშეწონილი სისტემის ჩამოსაყალიბებლად. მსოფლიოს არაერთი განვითარებული ქვეყნის მაგალითზე, საქართველოს აქვს პოტენციალი შეიმუშაოს და დანერგოს ღირსეული საპენსიო სისტემა. შეიქმნას და ფორმირებული იყოს მომუშავეთათვისა და პენსიონერთათვის ერთნაირად ღირსეული, სამართლიანი და ეფექტური, ადამიანების უფლებებზე მორგებული და ხელსაყრელი საპენსიო პოლიტიკა, რომელიც შემდგომში აუცილებლად უზრუნველყოფს როგორც ქვეყნის ევროინტეგრაციისკენ სწრაფვის ხელშეწყობას, ისე თითოეული მოქალაქისათვის ბედნიერ და უზრუნველყოფილ სიბერეს.

ძლიერი საპენსიო სისტემა უნდა ეყრდნობოდეს დაზღვევისა და სოლიდარობის პრინციპებს. ასეთი სისტემა უნდა იყოს მდგრადი და უნდა უზრუნველყოფდეს

ადეკვატურ ბენეფიტებს. ძლიერი სისტემის ჩამოყალიბება მოითხოვს როგორც იდეის საზოგადოებაში პოპულარობასა და პოლიტიკურ ნებას, ასევე მსგავსი სისტემებისადმი ნდობას. ნდობისა და საზოგადოებაში სამართლიანობის განცდის ფორმირების უმთავრესი წინაპირობა ინფორმაციის სწორად მიტანაა. მნიშვნელოვანია საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა, გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი და თავად გადაწყვიტოს სურს თუ არა ჰქონდეს ღირსეული პენსია. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს როლი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოებისთვის არსებული ალტერნატივების შეთავაზება. საპენსიო სისტემის რეფორმირებისადმი ინტერესისა და საზოგადოებრივი სოლიდარობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია შენატანებისა და ბენეფიტების სამართლიანობა, ეფექტიანი მენეჯმენტი და წესებისა და სარგებლის სრული ტრანსფარენტულობა.

კვლევაში განხილულია 3 ალტერნატივა, რომელთაგან საუკეთესოდ მივიჩნევთ სოციალური პენსიის შენარჩუნებას და მასთან ერთად მეორე და მესამე სვეტების დამატებას.

მე-2 სვეტი უნდა იყოს „განსაზღვრული სარგებლის“ (Defined Benefit) სქემა, რომელში მონაწილეობაც იქნება სავალდებულო ყველა დაქირავებით დასაქმებულისთვის და უზრუნველყოფს სქემაში დაქირავებით დასაქმებულთა 100%-იან მონაწილეობას. სქემა უნდა დაეფუძნოს სადაზღვევო პრინციპს და პენსიონერი პენსიით სიცოცხლის ბოლომდე უნდა უზრუნველყოს. საპენსიო ასაკში სიღარიბის შესამცირებლად მნიშვნელოვანია პენსიონერის ღირსეული პენსიით მთელი ცხოვრების განმავლობაში უზრუნველყოფა. ამ სქემის მიხედვით პენსიის ოდენობა განისაზღვრება პირის მიერ ფონდში განხორციელებული შენატანების მიხედვით, თუმცა, გარდაცვალების შემთხვევაში დაგროვილი თანხა მემკვიდრეობით არ გადაიცემა. ეს კი დღევანდელი პენსიონერების პენსიით სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა.

სქემა ფინანსურად მდგრადია და საპენსიო ასაკის თაობის პენსიით უზრუნველყოფა არ უწევს მომავალ თაობებს. ერთი თაობის მიერ დაგროვილი მთლიანი თანხა ნაწილდება ამ თაობაზე ისე, რომ მათ არ სჭირდებათ დამატებითი სახსრები. ამასთან, ფონდში აკუმულირებული სახსრების ინვესტირებიდან, ფონდის მართვის ხარჯების გაწევის შემდეგ დარჩენილი თანხა ზრდის მისაღებ პენსიას.

სქემა ითვალისწინებს მრავალი სახის ბენეფიტებს ისეთი პირებისთვის, რომელთაც საზოგადოების თანადგომა სჭირდებათ. ეს ბენეფიტებია: პენსიაზე ადრე გასვლის შესაძლებლობა მძიმე და საშიშპირობებიან პროფესიებში; დროებითი უმუშევრობის (წინასწარ განსაზღვრული მაქსიმალური პერიოდით), დროებითი შრომისუუნარობის და დეკრეტული შვებულების მიუხედავად პენსიის იგივე დონეზე შენარჩუნება და ა.შ.

მიგვაჩნია, რომ სქემაში სავალდებულო შენატანები, საწყის ეტაპზე, მხოლოდ სახელმწიფომ და დამსაქმებელმა უნდა განახორციელონ. ხოლო მას შემდეგ, რაც სისტემა საზოგადოებაში პოპულარობას მოიპოვებს, შესაძლებელი იქნება მასში დასაქმებულთა ჩართვაც.

სავალდებულო „განსაზღვრული სარგებლის“ სქემის გარდა, საპენსიო სისტემას უნდა დაემატოს ნებაყოფლობითი დაგროვებითი მე-3 სვეტი. ამ ნაწილში სქემის მონაწილე საკუთარი სურვილით განახორციელებს შენატანებს და დაგროვილი თანხა დარიცხულ სარგებელთან ერთად იქნება მისი საკუთრება, რომლის განკარგვის უფლებაც მონაწილეს უნდა მიეცეს საპენსიო ასაკზე ადრე და მანვე უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენ წელიწადზე სურს ამ თანხის გადანაწილება. ამ სვეტში თანხა გაიცემა კონკრეტული პირის ანგარიშზე დაგროვილი სახსრების ამონურვამდე. ხოლო მის ამონურვამდე მოსარგებლის გარდაცვალების შემთხვევაში, დარჩენილი თანხა გადაიცემა მემკვიდრეობით.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ტელ.: +995 32 293 11 28

მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28

ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge

ვებგვერდი: eap-csf.ge